



მრავალწახნაგები, რგოლები და მრავალწახნაგები

ათი ლექცია - ათი ღია პრობლემა / 2016 წ. ოქტომბერ-ნოემბერი, თბილისის სახ. უნივერსიტეტი

მომხსენებელი: სოსო გუბელაძე (სან-ფრანცისკოს სახ. უნივერსიტეტი)

ამ ათი* ლექციის თემატიკა განეკუთვნება დისკრეტული ამოზნექილი გეომეტრიის, ალგებრული კომბინატორიკის, ალგებრული გეომეტრიისა და ტოპოლოგიის გზა-ჯვარედინებზე მიმდინარე თანამედროვე კვლევების სფეროს. ყოველ ლექციაზე ჩვენ დავსვამთ ღია პრობლემას, რომელიც დღეს მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია მოხვედრილი. შთამბეჭდავია ამ პრობლემების გადაჭრის გზაზე მიღებული შედეგები. წინსვლა აღნიშნული მიმართულებით არ ნელდება. მიუხედავად ამისა ამ დარგში ახლად მოსულთათვისაც კი შესაძლებელია მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა. გამოყენებული ტექნიკა ეყრდნობა ელემენტარულ გეომეტრიას, ალგებრული გეომეტრიისა და ტოპოლოგიის აბსტრაქტულ აპარატს და ალგორითმებს - გადამწყვეტი კომპიუტერული ექსპერიმენტების დაყენების სახით.

ლექციებში არ გამოვეკიდებით მაქსიმალურად ზოგად განხილვებს, არც ფორმალურ ასპექტებს. აქცენტი გაკეთებული იქნება უშუალო გეომეტრიულ ინტუიციაზე. განხილული იქნება დამოუკიდებელი კვლევითი პროექტების შესაძლებლობა. ინფორმაცია მუდმივად განახლდება შემდეგ მისამართზე: <http://math.sfsu.edu/gubeladze/classes/fall2016/Tbilisi16/Tbilisi16.htm>

დამსწრეთა საჭირო მომზადების დონე მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. აუცილებელია მხოლოდ ერთი პირობა: **ΓΕΩΜΕΤΡΗΤΟΣ ΜΗΔΕΙΣ ΕΙΣΙΤΩ!**



<http://math.sfsu.edu/gubeladze>

(* შესაძლოა მითითებული რიცხვების უმნიშვნელო ცვლილებები.)